სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/198

ქ. თბილისი 25 ივლისი 2018

სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრში კონკურსის

გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, თამარ კაჭარავას 2018 წლის 20 ივლისის № 01-09-33/3923 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;
2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პირობები დადგენილებას თან ერთვის (იხ. დანართი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**